

# 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ენიგმა ფეიერვერკს ჯორჯია“

## სარჩევი:

### ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |      |
|--------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----         | 3    |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----          | 4    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- | 5    |
| <br>                                             |      |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----              | 6-17 |

|                                                                                             | შენიშვნები |                  |                  |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                             |            | <b>2024</b>      | <b>2023</b>      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                 | 3          | 401 199          | 253 884          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                          | 4          | 3 751 710        | 3 723 608        |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი                                         |            | 0                | -                |
| <b>მარაგები</b>                                                                             |            | <b>2 832 801</b> | <b>921 253</b>   |
| - მზა პროდუქცია                                                                             |            | 2 832 807        | 921 253          |
| - სხვა                                                                                      |            |                  |                  |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                     |            | 0                | 4830             |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 6          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 5          | 39 737           | 46 770           |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         |            | <b>7 031 453</b> | <b>4 950 345</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |            |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       |            | 2 444 450        | 1 359 206        |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  |            | 0                | 0                |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                             |            | 1 074 188        | 199 344          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          |            | 44 965           | 29 659           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    |            | <b>3 565 615</b> | <b>1 588 210</b> |
|                                                                                             |            | -                | -                |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |            | -                | -                |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |            | 1                | 1                |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               |            | 3 465 838        | 3 362 135        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                |            | <b>3 465 838</b> | <b>3 362 135</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               |            |                  |                  |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „შპს „ენიგმა ფეიერვერკს ჯორჯია " 2023წ 31 დეკემბრის დასრულებული წლის  
სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                      | შენიშვნები | 2023      | 2023       |
|--------------------------------------|------------|-----------|------------|
| ამონაგები                            | 7          | 1 750 798 | 2 479 600  |
| რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 8          | -935 699  | -1 478 372 |
| საერთო მოგება                        |            | 815 099   | 1 001 228  |
| სხვა შემოსავალი                      | 9          | 13 208    | 0          |
| კომერციული დანახარჯები               | 10         | 0         | 0          |
| ადმინისტრაციული ხარჯები              | 11         | -182 261  | -143 847   |
| სხვა ხარჯები                         | 12         | -88 915   | -44 663    |
| ფინანსური დანახარჯები                | 13         | -15 293   | -23 980    |
| მოგება დაბეგვრამდე                   |            | 541 838   | 787 738    |
| მოგების გადასახადის ხარჯი            |            | 0         |            |
| მომდინარე წლის მოგება                |            | 541 838   | 788 738    |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში |            | 3 362 135 | 3 936 066  |
| დივიდენდები                          |            | -443 501  |            |
| სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში  |            | 5366      | 204        |
| გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს      |            | 3 465 838 | 3 362 135  |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

**შპს „ენიგმა ფეიერვერკს ჯორჯია“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31  
დეკემბრისათვის**

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
(ლარში)**

|                                      | <b>საწესდებო<br/>კაპიტალი</b> | <b>გაუნაწილებელი<br/>მოგება</b> | <b>მთლიანი<br/>კაპიტალი</b> |
|--------------------------------------|-------------------------------|---------------------------------|-----------------------------|
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>1</b>                      | <b>1</b>                        | <b>1</b>                    |
| წმინდა მოგება                        | -                             | <b>3 362 135</b>                | <b>3 362 135</b>            |
| სხვა ცვლილება / შემოსავალი           | -                             | 5366                            | 5366                        |
| <b>პერიოდის სრული<br/>შემოსავალი</b> | -                             | <b>541 838</b>                  | <b>541 838</b>              |
| გაცემული დივიდენდი                   | -                             | 443 501                         | 443 501                     |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა             | -                             | -                               | -                           |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>1</b>                      | <b>3 465 838</b>                | <b>3 465 838</b>            |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ენიგმა ფეიერვერკს ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 21 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405244757. კომპანია 2018 1 აგვისტოდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ #45, ბ 57 ; ფაქტიური მისამართი: თბილისი, ვახტანგ გორგასალის 115

საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საახალწლო -სადღესასწაულო ფეიერვერკების იმპორტი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

კომპანიის 100% წილის მფლობელია და კომპანიის დირექტორია გიორგი გაგნიძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 1 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 4 ადამიანი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

### მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2024 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8068 | 2,9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6894 | 2,9753 |

### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ტერმინების განმარტებები:

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

## სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

## ძირითადი საშუალებები

### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის

დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

## ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;  
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები  | 7 წელი                               |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5 წელი                               |
| არამატერიალური აქტივები   | 3-6 წელი                             |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის

საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **დაბეგვრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### **ამონაგების აღიარება**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ

მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

## **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ

მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

| შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები |       |                        |                     |  |
|---------------------------------------------------------|-------|------------------------|---------------------|--|
|                                                         |       |                        |                     |  |
|                                                         | ლარში | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 1 იანვარი |  |
|                                                         |       |                        |                     |  |
| ფული სალაროში                                           |       | 4 285                  | 15 956              |  |
| ფული საბანკო ანგარიშებზე                                |       | 396 914                | 237 928             |  |
| <b>ჯამი</b>                                             |       | <b>401 199</b>         | <b>253 884</b>      |  |

| შენიშვნა 4-სავაჭრო მოთხოვნები |  |       |                        |                     |
|-------------------------------|--|-------|------------------------|---------------------|
|                               |  | ლარში | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 1 იანვარი |
|                               |  |       | 3 757 710              | 3 723 608           |
| <b>ჯამი</b>                   |  |       | <b>3 757 710</b>       | <b>3 723 608</b>    |

### შენიშვნა -5 ძირითადი საშუალებები

| ლარში                          | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | ჯამი   |
|--------------------------------|-----------------------------|-----------------------|-------------------------------|--------|
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 45 400                      | 3 131                 | 17 797                        | 66 328 |
| შესყიდვა                       | 0                           | 1294                  | 977                           | 2 272  |
| გასვლა                         | 0                           | 0                     | 0                             | 0      |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 45400                       | 4425                  | 18 774                        | 68 600 |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>         |                             |                       |                               |        |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 6 159                       | 1 734                 | 13 223                        | 21 116 |
| ცვეთის ხარჯი 2024              | 6 128                       | 159                   | 2706                          | 8 993  |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა |                             |                       | -                             | 0      |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 12 287                      | 1 893                 | 15928                         | 30 108 |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>    |                             |                       |                               |        |
| 2023 წლის ბოლოს                | 3 9241                      | 1 397                 | 4 574                         | 45212  |
| 2024 წლის ბოლოს                | 33 113                      | 2 532                 | 2 846                         | 38 491 |

### შენიშვნა -6 არამატერიალური აქტივები

| ლარი                          | პროგრამები | ლიცენზიები | ჯამი  |
|-------------------------------|------------|------------|-------|
| 2023 წლის ბოლოს               | 5 008      |            | 5 008 |
| შემოსავლა                     | 0          | 0          |       |
| გასვლა                        |            |            | -     |
| 2024 წლის ბოლოს               | 5,008      | -          | 5,008 |
| <b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>  |            |            |       |
| 2023 წლის ბოლოს               | 3449       |            | 3 449 |
| პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი   | 312        |            | 312   |
| გასულის დაგროვილი ამორტიზაცია |            |            |       |
| 2024 წლის ბოლოს               | 3 761      | -          | 3 761 |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>   |            |            |       |
| 2023 წლის ბოლოს               | 1 559      | -          | 1 559 |
| 2024 წლის ბოლოს               | 1 247      | -          | 1 247 |

| შენიშვნა 7- ამონაგები |  |                        |
|-----------------------|--|------------------------|
| ლარი                  |  | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|                       |  | 2 250 366              |
| უკან დაბრუნება        |  | (499 568)              |
| ჯამი                  |  | <b>1 750 798</b>       |

| შენიშვნა 8-რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება |  |                        |
|-------------------------------------------------|--|------------------------|
| ლარი                                            |  | 2024 წლის 31 დეკემბერი |
| მზა პროდუქცია                                   |  | <b>1 206 392</b>       |
| უკან დაბრუნება                                  |  | (270 693)              |
| ჯამი                                            |  | <b>935 699</b>         |

#### შენიშვნა 9-სხვა შემოსავალი

ლარი

2024 წლის 31 დეკემბერი

|                        |        |
|------------------------|--------|
| სხვა ცვლილება მოგებაში | 13 208 |
| ჯამი                   | 0      |

#### შენიშვნა 10-კომერციული დანახარჯები

ლარი

2024 წლის 31 დეკემბერი

|      |   |
|------|---|
|      | 0 |
| ჯამი | 0 |

| შენიშვნა 11 -ადმინისტრაციული ხარჯები |  |                        |
|--------------------------------------|--|------------------------|
| ლარი                                 |  | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|                                      |  | 124 745                |
|                                      |  | 27 390                 |
|                                      |  | 0                      |
|                                      |  | 19 449                 |
|                                      |  | 1 372                  |
| დაზღვევა                             |  | 0                      |
| კომპიუტერის ხარჯები                  |  | 0                      |
|                                      |  | 9 305                  |
|                                      |  |                        |
| ჯამი                                 |  | 182 261                |

| შენიშვნა 12-სხვა ხარჯები |  |                        |
|--------------------------|--|------------------------|
| ლარი                     |  | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|                          |  | 5 753                  |
|                          |  | 8367                   |
|                          |  | 74 795                 |
| ჯამი                     |  | 88 915                 |

| შენიშვნა 13 - ფინანსური დანახარჯები |  |                        |
|-------------------------------------|--|------------------------|
| ლარი                                |  | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|                                     |  |                        |
|                                     |  | 15 293                 |
| ჯამი                                |  | 15 293                 |

### **პირობითი ვალდებულება**

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

2024 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

### **ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბრით;

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი